საყმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეოთხე

მცირე წლოვანთათვის

№ XXIV

დეკემბერი

1906

217

ტფილისი

ელექტროსბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხაილოვის ქუჩა № 65.

1906

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

1. **საშობაო.**—ლექსი შ. მდივნელისა 3
2. **ვასოს ოცნება.**—კანდეგილისა 5
3. **ალილოობა.**—ეიეღიეოსი 12
4. **რისგან კეთდება რეზინის ბურთი.**—(ვაგნერიდგან) მარიამ დემურიასი 19
5. **გეოგრაფიული ცნობანი.**—(დასასრული) 24
6. **გასართობი** 27

საშობაო.

ემო ბაწაწინა ერმები,
ხუჭუჭ-გიშერ თმიანებო,
ცელქებო და ონავრებო,
საყვარელ ტკბილ-ხმიანებო!
გაიღვიძეთ, უნდა ნახვა
თქვენი მოსულ ბიძიასა,
ვინც გილოცავთ სიყმაწვილეს
და ტკბილ მშობლის „ძიძიასა!“
შეხეთ სახე გაბრწყინვებულს
და გულ კეთილს მაცხოვარსა,
როგორ წყნარად აკაკუნებს
თქვენს საძილე სახლის კარსა.
განთიადზედ ადრიანად
მოუვლია მთა და ბარი,
დაულოცავს მიწის გული,
მის ნაყოფი და ცის ცვარი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა თქვენკენ მოაშურებს,
თქვენთან უნდა საუბარი
და ყველასთვის მოაქვს ქრისტეს
მხოლოდ სამი საჩუქარი.

ეს ძვირფასი საჩუქრები
სხვებისთვისაც გადუცია;
ორს სასელად ცხოვრებაში
„ერთობა“ და „ძმობა“ ჰქვია,

მესამეს-კი „სიყვარული“,
როგორც მოძმის, ისე სხვისა;
მაშ წამოხტით და მიიღეთ
საჩუქარი მაცხოვრისა!

ამ სიტყვებით აღვიძებდა
დედა შვილებს შობა დილით
და ლოცავდა გულში ყველას
სასოებით, ნატვრა-ტკბილით.

შ. მღვიმელი.

ვასოს ოცნება.

ოახლოვდა შობის კვირა და ვასოსაც მოუსვენრობა დაეტეო. ჯერ ქალაქი არ ენახა და თითქმის მთელის წლის განმავლობაში იმას შესწიწინებდა მამას, ქუთაისს წამიყვანეო. აი, ახლაც თუმცა დანამდვილებით შეჰპირდა მამა საშობაოდ წაგიყვანო, მაინც დარწმუნებული არ იყო და ბევრჯერ ფიციც-კი ჩამოართვა მამას. ვასოს, რა თქმა უნდა, ერთის მხრივ ქუთაისის ნახვა ენატრებოდა, მეორეს მხრივ-კი ის, რომ თავისს ნაამაგდარს ბაზარში მიიტანდა, გაჰყიდიდა და აღებულ ფულით შინაურებს გაასარებდა. ყველაზედ მეტად დედისა და თავის ჰატარა დის მაროს დასაჩუქრება ჰქონდა განზრახული.

„მართალია, კოწიასაც შემოგლეჯილი აქვს ქალამნები, მაგრამ იმას მამა ახალს წუღებს უყიდის საშობაოთ, მარო-კი

ჩემს მოტანილ წითელ ფაჩუჩებს ჩაიცვამს და თავისებურად სიხარულით აკისკისდებაო“,—ფიქრობდა ვასო. დედისთვის რა ეეიდნა, ეს ჯერ კიდევ გარდაწყვეტილი არა ჰქონდა. უნდოდა ბეერი რამ ეეიდნა, მაგრამ აიღებდა-კი ამდენს ფულს თავისს ხორაგში?

ვასო რვა-ცხრა წლის ბავშვი იყო, უფროსი შვილი სესია მოლოდინაშვილისა და, როცა სესია შინ არ იყო ხოლმე, საოჯახო საქმეს ვასო უძღვებოდა. საქონლის გადენა (გარეკვა) თუ მორეკვა, ან კიდევ სასადილ-ვახშმ ჯ შეშის მომზადება ვასოს საქმე იყო. ხან-და-ხან, მახლობელ წისქვილშიაც წავიდოდა და თუ სიმინდი დაფქული იყო, ხელად ამოირბენდა, შეაბამდა ხარებს ურემში და გაუდგებოდა გზას. უმცროსს ძმას კოწიასაც თან წაიყვანდა ხოლმე.

„ეს ბიჭი სწორედ ჩემი მარჯვენა ხელიაო“,—ეტყოდა ხოლმე სესია თავისს ერთგულ თეკლეს და ცოლიც კვერს დაუკრავდა შვილის საქებრად წარმოთქმულ ქმრის სიტყვებს.

ვასო ბუნებით დინჯის ხასიათისა იყო. თუ-კი შინ საქმე ეგულებოდა, იშვიათად გაერეოდა ხოლმე სოფლის გოგო-ბიჭებში, მაგრამ ბავშვური სიცელქე ხან-და-ხან იმასაც წასძლევდა ხოლმე, როცა კოწია ხტუნვა-კუნტრუშით გადმოიძახებდა ღობის იქიდან—მოდი, ვითამაშოთო; გაიყვანდა შარა გზის პირად თავისს ორის წლის დას—ცუგრუმელა მაროს, მოჰკრებდა გვიმრას, დასვამდა ზედა და იქვე მეზობელ ბავშვებთან მოჰყვებოდა თამაშას. ხან ქორობიას თამაშობდნენ, ხან დამალვიას და ასე მეგობრულად ატარებდნენ დროს ბავშვები.

მთელი ზაფხული და შემოდგომა განსაკუთრებულის ფუსფუსით გაატარა ვასომ. აგვისტოდგანვე შეუდგა საქუთაისო ხორაგის მზადებასა და თითქმის იშვიათი იყო ისეთი დღე, რომ რამე არ მიემატებინოს თავისს საკუთარ ჰარკუჯანისათვის. როცა თეკლე საზამთრო ჩირს ამზადებდა, ვასოც თა-

ვისთვის არჩევდა ვაშლსა და მსხალს და ცალკე აშრობდა მზეზედ. ეველა ამის მოსაგროვებლად-კი კარგა მოშორებით ტეეში უნდა წასულიეო. ბევრჯერ უსადილოდ დაუღამებია ვასოს. სოჯახო საქმეს მორჩებოდა თუ არა, წამოავლებდა კარგა მოზრდილ კალათას ხელსა და გასწევდა ტეისაკენ. საღამოს ოფლ-გადასეთქილი ხვნეშით ძლივს-ძლივობით მოათრევდა ჰანტა-ვაშლითა და მსხლით სავსე კალათას. შინაური ხესილი ჯერ ასალშენი იეო და იმდენს არ ისსამდა, რომ გასასეიდი ჩირი გაეკეთებინათ. რაც დიდრონი სილი იეო, თეკლე გადაიწეობდა თავისთვის, ანარჩევას-კი ვასოს დაუტოვებდა და დედა-შვილი შეუდგებოდნენ საქმეს. ვასო ხან-და-ხან ბუზღუნსაც დაუწეებდა დედას—კარგები სულ შენ მიგაქვსო, თანაც დაიფიცებდა—ხვალ რომ მოვიტან, ერთსაც არ გინაწილებო, მაგრამ მეორე დღესაც ისვე ამბავი იეო და დედა-შვილი სიცილ-ხარხარით ეწეოდნენ ხოლმე თავ-თავისკენ მოტანილ კალათას. ვასომ უნაბიც ბლომად აასხა ძაფზედ, თუმცა ეოველ დღე აკლდებოდა და აკლდებოდა იმის უნაბს. ბოლოს იქამდე მივიდა საქმე, რომ ხოგიერთს ძაფზედ მხოლოდ რამდენიმე მარცვალი-ღა იეო შერჩენილი. ვასოს ჯერ ეგონა, მზეზედ რომ ხმება, აკლდებაო, მაგრამ ბოლოს დაუკვირდა და გაიგო კიდეც, რა ამბავიც იეო: ხან თავისი ძმა კოწია თურმე ჩამოსწიწკნიდა თითო-ორორლა მარცვალს, ხან მათსა მოსული მეზობლის ბავშვები უპოტინებდნენ ხელს გავლა-გამოვლისას. ძალიან გაჯავრდა ვასო, კოწიასაც ლაზათიანი მუჯლუგუნი უთავაზა, მეზობლის ბავშვებსაც უსირცხვილო და გაუტანელები უწოდა, მაგრამ მეტი გზა რაკი აღარა ჰქონდა, თითქმის ნახევრად გაუმშრალი უნაბი აკრიბა და სხვენზედ შეინახა. იქ უარესი დაემართა ვასოს ნაამაგდარს: მჯვარტლმა სულ გაუშავა.

დადგა წაბლობის დრო და ვასოც გულმოდგინედ შეუდგა

სამზადისს. ჭკრეფდა ბუმბარებს, არჩევდა წაბლს და ინახავდა სხვენზედ. ეს ადგილი მშვენიერი გამოდგა წაბლისთვის: არც კომლი აფუჭებდა და ბავშვების მსრევაც უშიშარი იყო. არც ერთი დღე არ გაუტარებია ვასოს ისე, რომ არ მიეშატებინოს თავისს საუნჯისთვის; სან ტეის თხილსაც შეჭსვდებოდა ხოლმე და იმასაც აგროვებდა. ამ გვარად თითქმის ერთ ფუთამდე მოაგროვა წაბლი, თხილი და ჩირი. ეს ეველაფერი დამზადებული ჰქონდა, მაგრამ კიდევ და კიდევ არა სჯეროდა, რომ მამა ქუთაისის ნახვას აღირსებდა.

„ჰერი-ჰა, რა ამბებს ამოვუტან ბავშვებს, სულ დაწვრილებით ვუამბობ ეველაფერს,—ფიქრობდა ვასო და ამ ფიქრის დროს თვალ წინ წარმოუდგებოდა ხოლმე მომღიმარე სახე დედისა, ჰატარა მაროს კვინტრიში და თან თავისი სისარული და თავმოწონებაც, რომ ჰირველ წასვლაზედვე სულცარიელი არ დაბრუნდებოდა შინ და თავისიანებს გაახარებდა.

მოახლოვდა წასვლის დღეც. სესია და იმისი ერთგული თეკლე გასასეიდ ხორაგის მზადებას შეუდგნენ. თეკლემ ცეცხლი გააჩაღა, შემოდგა ქვაბი წულისთვის და საქათმე კარისაკენ წავიდა, რომ საგანგებოდ ნასუქი დედლები გამოერჩია დასაკლავად. მარში თითქმის სუთმეტამდე ნასუქი დედალი და ეველრული ჰყავდა თეკლეს, მაგრამ მხოლოდ თორმეტი უნდოდა გასასეიდად, სამი-კი საოჯახოდ დაიტოვა. მალე წეალიც ადუღდა და თეკლემ სათითაოდ დაუწყო ქათმებს გამოყვანა.

— კაცო, ორ-ორის მეტს ნუ დაკლავ, თორემ ბუნდლა *) შეაცივდება,— წუნარად უთხრა თეკლემ სესიას.

— აბა, ახლა შენ გიცადო, სანამდი თორმეტივეს არ გაბუტავ?—მიუგო სესიამ და ორი ქათმისთვის მესამეს მიეოლებაც უნდოდა, მაგრამ თეკლემ გააშვებინა.

*) ბუმბლი—იმერეთში ხმაროობენ.

ავტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დედა, მეც ხომ მოვემზადო? — წასჩურჩულა ვასომ ყურასთან ჩაჩოქილს თეკლეს და თან მამას შეჰხედა.

— რას შობი, ბიჭო, შენ არ მ ოხვალ? — სიცილით ჰკითხა მამამ, თითქოს ვერ გაიგონა ვასოს სიტყვა და თავისით მოახსენა წასვლაო.

— კი, მამა, შენ გენაცვალე, — სიხარულით წამოიძახა ვასომ და საჩქაროდ ავიდა სხვენზედ, რომ თავისი ბარგი-ბარხანაც ჩაელაგებინა.

II

იმავე საღამოს სესიამ და ვასომ ურემი შეაბეს, დაუდეს ზედ ფქვილი, ქათმები, ხილი, ორი დიდი დოქი ძმარი და გაუდგნენ ქუთაისისაკენ გზას. ვასოს კარგა მანძილზედ მიჰქონდა თავისი ჰარკუჭუნა ზურგით, მერე-კი, როცა გზა გაგრძელდა, ურემზედ დასდო და თითონ უდარდელად გაუძღვა ხარებს. მთის ჰატარა ურემი იყო, ორ გოგორიანი და ამიტომ არც მამა და არც შვილი ურემზე დაჯდომას არა ნდომობდნენ, რადგანაც მისვეულ-მოსვეულს მთის გზაზედ საქონელი ეცოდებოდათ.

ბინდი მოტანებული იყო, როცა მოწამეთას ჩაუარეს; სესიამ უაბალასი მოიხადა და ჰირჯვარი გამოისახა; ამასვე მიჰბაძა შვილმაც. კარგა დაღამებული იყო, როცა ურიების უბანს მიაღწიეს. აქ-კი შეჩერდნენ, რადგან ყველა სოფლელები ღამეს აქ ათევდნენ სოლმე მოედანზედ. სესიამ ხარებს თივა დაუყარა და ისა და ვასო საცოდავად მოიკუნტნენ ურემზედ და ზემოდგან ძველი ნაბადი წაიხურეს.

გათენდა, მიდამო ახმაურდა; სესიამაც თავისი ურემი საკაჭრო მოედანზედ გაიყვანა და იღლიაში ჯოხ-ამოჩრილი გაუჩერდა გვერდით. ვასომაც აიკიდა თავისი ჰარკუჭანა და თვალებ გაბრწყინვებული შეჰყურებდა გამვლელს და გამომვლელს — აბა როდის მოვა, შემევაჭრებაო. მკლავზედ გადაკიდებული

ჰქონდა ვაშლისა და მსხლის ჩირები, ჰარკში-კი წაბლი და თხილი ჰქონდა. მართალია, ლაფი იდგა და თოვლ-წვიმა, ოღონ-გრამ არაფერს ყურადღებას არ აქცევდა ვასო, მხოლოდ ეჩქარებოდა დროზედ გაეყიდნათ ყველაფერი და მერე ბაზარი დაეთვალიერებინა, ნამდვილი ქუთაისი ენახა, თითონაც ეყიდნა რამე...

— ეი შენ, რას დაგიბრეცია ეგ თვალები და გზას აღარავის აძლევ,—უეცრად ძრიხსანე ხმით დაუყვირა ჰოლიციელმა სესიასა და რაც ღონე ჰქონდა, ხელი ჰკრა და ტალახში ჩააგდო. სესია ბევრჯერ იყო ნამყოფი ამ ადგილას და არც გზაზედ გაჰხირებია ვისმე, გარდა თვით ჰოლიციელისა, რომელსაც არეისგან დაწითლებული თვალები წამოვარდნაზედ

ჰქონდა და მთელი ღამის ნალოთარი ძლივს დააბრაკუნებდა ფეხებს, მაგრამ მთქმელი ვინ იყო.

ვასომ საშინლად დაიღრიალა და თავგანწირული გადახტა ტალახში ჩაკარდნილ ძამისაკენ, რომელიც ის იყო ადგა კიდეცა. იდგა საცოდავი გადაფითრებული სესია და არ იცოდა, რა ექნა.

— აი, შე ლაწირაკო, შენა,—კიდევ უფრო გაბრაზებით წამოიძახა პოლიციელმა და ახლა ვასოს წაუთავაზა ღონივრად მუჯლუგუნებ.ი. პატარა გლეხმა ვეღარ გაუძლო პოლიციელის შეუბრალებელს ხელს, გულაღმა გაიშხლართა, ქვეშ მოიყოლია თავისი ნაამაკდარი პარკუჭანა და ყოველივე, რაც ჰქონდა, ტალახში შთაინთქა.

გულამოსკვნილად მოტირალი ვასო საცოდავად დაჰყურებდა თავისს ნაშრომ-ნაღვაწს და გონს ვერ მოსულიყო, ცხადად მოხდა ყოველივე ეს, თუ სიზმარი იყო... **განდეგილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ალილოლა“

ამიკითხე, შვილო, აგრემც ჩემ ტოლა მოიერები!... ავადმყოფი შვილი სახლში მიწევს, მოუკვდეს იმას დედა... აგერ ორი წელიწადია, ლოგინში წევს.. რატომ დედამიწა არ გამისკდება და შიგ არ ჩამიტანს!.. გამიკითხე, შვილო, აგრემც შერჩები შენს პატრონსა და დიდი კაცი გაიზრდები!.. ასე მიმართა პატარა სანდროს მათხოვარმა.

სანდრო ამ დროს ეზოში იდგა, შინდის კომბალს იკეთებდა. დიდი ფხეკა, რახუნი და ჩაკუნი ისმოდა, გეგონებოდათ, ათი დურგალი ერთად მუშაობსო. დიახ კომბალს იკეთებდა ჩვენი სანდრო, რომ „ალილოზედ“ წასულიყო.

მხიარულს ოცნებასა და ფიქრებში იყო სანდრო გართული, ეს ორად მოკაკული, ძონძებში გახვეული ბებერი მათხოვარი რომ მიუახლოვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გამიკითხე, შვილო, აგრემც ჩემ ტოლა მოიერები,— იმეორებდა ნაწვეტ-ნაწვეტ მათხოვარი.

— დიდედო, „ალილოზედ“ უნდა წავიდე, ჭსედავ, როგორი კომბალი გავაკეთე!

— ღმერთმა მრავალს „ალილოს“ დაგასწროს, შვილო! გამიკითხეთ, აგრემც გაიზრდები!

— იცი, დიდედ, ბური როდი გვიძევს. დედა ჩემი ესლა აცხობს. თუ მოიცდი ცოტა სანსა, გამოცხვება, ვეტუვი დედასა და ცხელ-ცხელს ლავაშებს მოგცემს.

— რა ვქნა, შვილო, მოვიცდი; მეტი სიარულის თავი ალარა მაქვს, მუხლები ლამის დამაწუდეს... ეჰ-ეჰ-ეჰ!... ამოიოხრა ბებერმა მწარედ, იქვე კუნძზედ ჩამოჯდა და დაუწეო ცქერა სანდროს, რომელიც ისევ ისე ფაცა-ფუცში იეო.

გააკეთა სანდრომ კომბალი და ბატარა კალათაც გამოიტანა: „ალილოზედ“ რომ წავიდოდა, ნაშოვნი კვერცხები ამ კალათაში უნდა ჩაეწეო. კალათა ძლიერ გამტვრიანებული გამოდგა. გაასუფთავა სანდრომა და ისევ სახლში შეიტანა.

ბებერი მათხოვარიც სიამოვნებით უცქეროდა სანდროს მუშაობასა. ვინ იცის, იქნება მველი დროც მოაგონდა, როდესაც იმასაც ჰეავდა სანდროს ტოლა ბატარა შვილები და სტკბებოდა მათის ცქერითა?.. და ბებერს რამდენიმე ცრემლი უნებურად გადმოუგორდა თვალებიდგანა.

სანდრომ ახლა ჯიბიდან ამოიღო ახალფერში შელებილი წითელი კოჭები და დაუწეო თვლა. ეს ათი თვითონა ჰქონდა; ხუთიც გიგოს მოუგო. მაშ, სულ თხუთმეტი უნდა იეოს. ასე გამოდგა სწორედ.

კოჭები ისევ ჯიბეში ჩაიეარა და ბებერს გადაჰხედა, რომელიც კუნძზედ იჯდა ისევ, თავი ძირს ჩაეკიდა.

— შენა, დიდედ, შვილები არა გეავს?

— როგორ არა, შვილო, ერთი მეავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მერე ის-კი არ წავა „ალილოზედ“?

— ავად არის, გენაცვალე, ორი წელიწადია აგერ, ლოგინში წევს. ერთიც შარშან მომიკვდა... ეჰ!.. დედა-მკვდარი ისა... რუსეთში გამიგზავნეს სალდათადა... იქ მომიკვდა... იქაური ჰაერი ვერ აეტანა.

— ავად რომ გეავს, ის ჰატარაა?

— არა, შვილო, დიდია. ქალაქში მუშაობდა, იქ გაცივებულიეო და ავად გამხდარიეო. ის იეო ჩემი ერთად-ერთი ნუგეში, ჩემი შემნახველ-დამშარხველი... ესლა-კი, ჭსედავ, სათხოვრად გამიხდა საქმე... ჯანიც აღარა მაქვს, ვიმუშაო, ძლივას-ღა დავიარები.

— დიდედ, ახლავე გავიქცევი დედასთანა,—აგერ თონეში აკრავს ჰურსა,—და ლავაშებს მოგიტან.

ბებერს თითქოს საკუთარი დარდი სრულიად გადაავიწყდა: შესცქეროდა ღიმილით გულკეთილსა და ცქვიტს სანდროსა და სიამოვნებით გული ევსებოდა.

— შენ-კი გაეზარდე შენს დედასა, რომ მაგეთი კარგი სარ!—წაიდუდუნა თავისთვის მათხოვარმა და თვალი სანდროს გაეყოლა, რომელიც ხტუნაობით გაქანდა დედისკენა.

ცოტა ხნის შემდეგ მართლაც მოურბენინა ორი ცხელ-ცხელი ლავაში. მათხოვარმა გადაახვია ლავაშები და აბგაში ჩაიდო.

— დიდედ, სადა სცხოვრობ? „ალილოზედ“ რომ წავალ ჩემის ამხანაგებითა, თქვენკენაც გამოვივლით და, აბა, ვინძლო კვერცხი გამოგვიტანო.

— მოდით, გენაცვათ, ერთს კვერცხს სადაც იქნება ვიშოვი. აგერა, სოფლის განაპირას რომ დანგრეული ქოხია კოშკთანა, იქა ვცხოვრობ.

ამ სიტყვებით მათხოვარიც გაჭმორდა, მაგრამ რამდენ-

ჯერმე კიდევ მოიხედა უკან, თითქოს უნდოდა ერთხელ კიდევ დაენახა სანდროს კეთილი და მხიარული სახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორჩა სანდრო სამზადისსა, ახლა თამაშობას შეუდგა: თოვლის აგორება დაიწყო. გააკეთა ჯერ თოვლის კარგა მოზრდილი გუნდა, აიღო მერე და თოვლში დაუწყო გორება. გუნდა თან-და-თან გაიზარდა, ბოლოს გახდა ვებერთელა, თითქმის ორი სანდროს ტოლა. ასე რომ მის გვერდით სანდრო აღარც-კი სჩანდა. მაინც არ ანებებდა თავსა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიაგორებდა და მიაგორებდა. ბოლოს მიაღწია დაღმართის ჰირსა, ერთი ხელის კვრა და გუნდა სრიალით დაეშვებოდა ქვევით. სანდროსაც სწორედ ეს უნდოდა! გადაგორა ერთიც და ეს უშველებელი თოვლის გორა შხუილით დაეშვა დაღმართ'ხედა. სანდროს სიხარულსა და კისკისს საზღვარი აღარა ჰქონდა, თოვლის სტუნაობას რომ უყურებდა. აგერ, ერთი კიდევ შეხტა უშველებელ თეთრი ბურთივითა, დაეცა ძირსა და... გუნდის კვალიც აღარსად იყო: მთლად დაიფშვნა და დაიშალა. მხოლოდ აქა-იქ-ღა მიგორავდნენ პატარ-პატარა ნაფლეთები.

ამასობაში ბინდმაც მოაწია. სანდრო ამხანაგებისაკენ გაეშურა, უნდოდა „ალილოზედ" წასასვლელად შეეკრიბა.

ცოტა ხნის შემდეგ ათიოდ-თორმეტი სანდროს ტოლა ბიჭი უკვე მზად იყო. ყველას კომბლები გაედოთ მხარზედ. სანდროსა და ერთს სხვას-კი კალათებიც ეჭირათ. ერთს აბგაც ჰქონდა. ხილის ან „ნაზუქების" ჩასაწყობად გამოადგებოდათ. დიდი მხიარულობა და სიცილი ჰქონდათ. ერთი ეიჟინა იდგა სანდროანთს ეზოში.

— აბა, ბიჭებო, ჯერ ჩვენსა ვსთქვათ „ალილო"!—დაიძახა სანდრომ.

და გაჩაღდა „ალილო". სანდროს წკრიალა ხმა ზარივით ისმოდა ჰაერში. სხვები ბანს აძლევდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

,,ალათასა, ბალათასა,
ხელი ჩავუავ კალათასა;
ქალო, კვერცხი გამოგვიტა,
შენი სახლის ბარაქასა!

სანდროს დედამ კვერცხები და ლავაშები გამოუტანა; ერთიც ჰატარა ყარია გამოუყვანა. ეტეობოდა, არ ესიამოვნა ცივს ჰაერზედ გამოსეირნება: საშინელი ჭეივილი მორთო ყარიამ. ბევრი ურჩია სანდრომა, ნუ ჭეივი, თორემ ხვალ თავს მოგჭრიანო, მაგრამ ყარია მაინც თავისას არ იშლიდა, ძალზედ ჭეიოდა.

ჰატარა ბიჭები სიცილითა და ყიჟინით გაემართნენ ახლა სხვა სახლებში ,,ალილოს'' სათქმელად.

ყველგან სიამოვნებითა და მხიარულად იღებდნენ. ზოგმა ჩურჩხელები გამოუტანა, ზოგმა კვერცხები, ზოგმა ვაშლები და სხვა ხილი. ერთი ქათამიც კიდევ სხვა იშოვეს.

მაგრამ ძაღლები უჭირებდნენ საქმესა. სადაც-კი შეკიდოდნენ, მოჰყვებოდნენ ეეფასა და დავი-დარაბას ასტეხდნენ: ეტეობოდათ, ,,ალილობა'' არაფრად ეჭაშნიკებოდათ.

,,ნეტა, რას დაწანწალებენ''!—ფიქრობდა ,,ბოსვერა'' ძაღლი,—,,ესლა ძილის დროა, ეგენი-კი კარ-და-კარ დაძრწიან და არ გვასვენებენ. ე ვეებერთელა კომბლებიც რომ გაუდვიათ მხარზედა!.. რა თქმა უნდა, ჩვენთვის—ძაღლებისთვისა—აქვთ გამზადებული, თორემ, აბა, რად უნდათ''?

ფიქრობდა ამას ,,ბოსვერა'' და ბრაზი მოსდიოდა, ბოლმას მხოლოდ ეეფით-ღა იქარვებდა.

რადგანაც სანდრო სხვებზედ გულადი იყო, ამიტომ ისა რჩებოდა ხოლმე უკან, ძაღლების მოსაგერებლადა.

— რა უზრდელები არიან ე ძაღლები,—ამბობდა სანდრო,—ჩვენ მოსალოცად მოვდიგართ, ესენი-კი ერთი აურ-ზაური-

თა და ეეგვით გვეგებებიან, თითქოს ქურდები და ეაჩაღები ვი-
ეევნეთ!

ამასობაში ბავშვებს სიარულიც მოსწყინდათ. ზოგს კიდეც შესცივდა, ძილი მოერია; ბევრმა უკვე თავ-თავის სახლში წასვლა დაიბირა.

აგერა, სოფლის შარა გზაზედ გამოვიდნენ. მთვარე კარგა მაღლა ამოსულიეო, სოფელს ზედ თავზედ დაჰკაშკაშებდა. თოვლით დაფენილი არე-მარე თეთრად გადაბენტილიეო.

იქვე ახლოს კოშკის ნანგრევი მოჩანდა და მის ახლოს ბატარა, გვერდზედ მიწოლილი ქოხი.

სანდროს მათხოვარა მოაგონდა. „ეს უეჭველად იმისი ქოხი იქნება"—გაიფიქრა გულში.

— ბიჭებო, მოდით, აგერა აიქაც მივიდეთ,—აიმ ქოხშია,—უთხრა სანდრომ ამხანაგებსა.

ზოგმა უარი სთქვა, ზოგმა სიცილი დაიწყო:

— მანდ თუ მივედით, მე ვიცი, ინდიურს გამოგვიუვანენ!

ბოლოს მაინც დასთანხმდნენ სანდროსა და წავიდნენ იმ ქოხისაკენ.

— აბა, დიდედ, ბირობაზედ როგორა სარ?—დაუძახა სანდრომ,—კვერცხს რომ დამბირდი?

— ეხლავე—შვილო, ემ საათში მოგართმევთ,—მოისმა ბებრის სიტყვები ქოხიდგან.

ცოტა ხნის შემდეგ კარებიც გაიღო. კარებში იდგა ბებერი დედაკაცი ხონჩით ხელში, რომელზედაც ეწყო: ორი ვაშლი, ორი ჩურჩხელა, ერთი კვერცხი და კიდევ სხვა რაღაცა წვრილი ხილი. ხონჩაზედ წმიდა სანთელი ენთო.

— გაისარეთ, შვილო... გაეზარდეთ თქვენს ბატრონებსა!.. ღმერთმა ძრაგვალს შობა-ახალწელს დაგასწროთ!.. ილოცებოდა ბებერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებრის უკან, ქოხის სიღრმეში, ლოგინი და შიგ ავადმყოფი მოჩანდა...

ავადმყოფს თავი წამოეწია და გამსდარი, გაფითრებული სახე ბავშვებისაკენ მიექცია. ეტყობოდა, ისიც რაღაცა სიამოვნებასა გრძნობდა მხიარულ და უდარდელ ბავშვების ცქერით.

— ბიჭებო,—სთქვა სანდრომ,—ჩვენ დღეს კვერცხები ბლომად ვიშოვნეთ; აგერა ორი კალათა ავავსეთ. რად გვინდა ამდენი? მოდით, ეს ერთი კალათა ამათ დავუტოვოთ.

— კარგი, კარგი! დავუტოვოთ!—დაიძახეს სხვებმაც.

სანდრომ კვერცხებით სავსე კალათა აიღო და ბებერს გადასცა. გადასცეს აგრეთვე რამდენიმე ნაზუქი, ლავაში და ცოტა ხილიც.

ბებრის ლოცვასა და მადლობას საზღვარი აღარა ჰქონდა. ბავშვები უკან გამობრუნდნენ, „ღამე მშვიდობისა“! მიაძახეს და გასწიეს თავ-თავიანთ სახლებისკენა. „ნაშოვარი სვალ გავიყოთო“, შეჰპირდნენ ერთმანეთსა.

ყიყლიყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რისგან კეთდება რეზინის ბურთი

(ვაგნერიდან).

ბატარა თედო ავად არის,—თავისს ბატარა საწოლს არა შორდება,—წევს და წევს; მუდამ თავი სტკივა, ხელები უცახცახებს, გული ეღრინება. საცოდავი თედო ძალიან მოწყენილია; ბაწაწინა, დაბალი ოთახი ხომ გულს უღონებს, ჭუჭრუტანის მინაგვარ ფანჯრიდგან ოდნავ აღწევს შუქი ოთახსა, სულ ერთისა და იმავე საგნების ყურება მობეზრდა. არავითარი სათამაშოები თედოს არა აქვს, ძმები და ამხანაგებიც არა ჰყვანან; ერთად-ერთი დედა ჰყავს მხოლოდ მთელს ქვეყანაზედ... მაგრამ რა უზომოდ უყვარს თავისი სუსტი და მუდამ დაქანცული დედა. უბედურობა ის არის მხოლოდ, რომ დედა ხშირად სახლში არ არის და მოწყენილია საშინლად. მაგრამ როცა დედა შინ არის, საკერავ მაშინას უზის და კოჰწია ხელით მარდად ატრიალებს, იმ ჟამად თედოს აღარავინ უნდა: არც ძმები და არც ამხანაგები. ბედნიერი თედო თვალს არ აშორებს ძვირფასს დედასა და როგორც-კი ერთს წამს საკერავიდგან თავს აი-

ღებს და დაღლილ-დაწითლებული თვალებით შეხედავს შვილსა, თედოს აღტაცებას საზღვარი აღარა აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თედოს დედა მკერვალი ქალია. გაათავებს ერთს საკერავს, მიუტანს პატრონს, ჩააბარებს და ახლა მეორე ოჯახიდგან მოაქვს ახალი საკერავი; აი სწორედ ამ დროსა რჩება თედო მარტოდ-მარტო.

რამდენიმე საათი ასე წევს პაწაწინა თედო ოთახში მარტოდ-მარტო და მოელის მოუთმენლად საყვარელს დედას. უცებად ქვემოდ კარმა დაიჯახუნა, კიბეზედ ჩქარი ნაბიჯის ხმა მოისმა. თედოს გულმა ფანცქალი დაუწყო. „ნამდვილად ის არის, ისა; ჩემი ძვირფასი დედაა!“.. ფიქრობს პატარა.

გაჭარხლებულმა და დაღლილმა დედამ მხიარულად შემოირბინა ოთახში, დაადგა ბოხჩა და თავისს სულზედ უტკბესს ბიჭიკოს გადაეხვია. ეხვევა, ეალერსება, ეკითხება, როგორ იყო.

— შვილო, ჩემო კარგო! როგორა ხარ, გენაცვალოს დედა? იმედი მაქვს, ეხლა-კი სრულებით კარგად გახდები, დედა შენმა კარგი სამუშაო იშოვა; ისე გაჭირვებულები აღარ ვიქნებით. ექიმს მოვიწვევ, წამალს გიყიდი; სასეირნოდაც ერთად ვივლით. კიდევ ბევრჯერ ნახავ ძწვანედ აყვავებულს ველ-მინდორს, მაღალ ხეებს, დაბურულს ტყესა! აბა, გენაცვა, ნახე, რა მოგიტანე და სასწრაფოდ ბოღჩიდგან ამოიღო პატარა, თეთრი რეზინის ბურთი და ლოგინში ჩაუგორა.

თედოს სიხარულისაგან სული შეუგუბდა. ოჰ, რა ლამაზი, რა კარგი რამ იყო. არასოდეს არავითარი სათამაშოები არა ჰქონია, ლულა-მოტეხილ ჩაინიკის მეტი.

იმ დღეს უზომოდ ბედნიერნი იყვნენ ორივე დედა-შვილნი, დიდ-ხანსა ბურთაობდნენ. რაც ძალი და ღონე შესწევდა თედოს ახლიდა ბურთს იატაკზედ, იატაკიდგან მაღლა, ჭერში მიფრინავდა, ჭერიდგან ისევ უკან იატაკზედ, — იატაკიდგან ისევ

ჭერს ეცემოდა; ფანჯრის შუშებს ზრიალი გაჰქონდათ. თედო და დედა-კი მხიარულად ტაშს უკრავდნენ, სარხარებდნენ.

მოხუცებული მეზობელი-კი გაანჩხლებული კედელს ურაკუნებდა; მობეზრებოდა იმათი ღრიანცელი. თედომ და დედამ ერთმანეთს შეხედეს, უფრო გულიანად გადიხარხარეს, ბალიშებში თავი ჩაუვეს და ბევრ ხანს კისკისობდნენ ორივენი. ამის შემდეგაც ბევრი ბედნიერი საღამო გაატარეს ბურთაობაში დედა-შვილმა. ესლა-კი ისე აღარა სწუხდა ხოლმე მარტო დარჩენასა თედო, დედას რომ გათავებული საკერავი მიჰქონდა ხოლმე პატრონთანა. წასვლის დროს ბურთს გვერდით მოუდებდა და ბავშვიც მშვენივრად ერეოობოდა: ხან საბანს ქვეშ ჩაიდებდა, ხან შიგ გაიხვევდა და გრძელს ხლაპრებს უამბობდა. ერთად ელოდნენ ხოლმე დედის მოსვლასა, რომ ებურთავნათ.

აგერ, ესლაც ხელში უჭირავს ბურთი თედოსა და ფიქრობს: „ნეტა რისგან არის გაკეთებული?“ ხან თითს დააჭერს, ხან მოკუმშავს, ხან გადაატრიალ-გადმოატრიალებს; გულდასმით სინჯავს, მაგრამ ვერ წარმოუდგენია, რისგან არის გაკეთებული. მოვიდა დედა თუ არა, თედო მაშინვე მოეხვია და ჰკითხა:

— შენი ჭირიმე, დედიჯან, მითხარი, ბურთი რისგანა კეთდება?

დედამ წამოსასხამი და ქუდი მოიხადა, ლოგინზედ ჩამოჯდა და დაუწყო საუბარი.

— ბურთი, შვილო, რეზინისგანა კეთდება; რეზინისგანვე კეთდება ბევრიც სხვა რამე: კალოშები, საწვიმარი წამოსასხამი, ბავშვების სხვა-და-სხვა სათამაშოები, სამკურნალო, გრძელი, წვრილი მილები და სხ. რეზინითვე ამოშლიან ნაწერს. ესლა ხომ გეცოდინება, რეზინი რა სასარგებლო ეოფილა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაინც, არ მითხარ, დედიკან, თვითონ რეზინი რა არის, რისგან კეთდება?

— რეზინი კეთდება ხის ერთგვარ წებოსაგან. წებო ფიჭვსა და წიფელასაც აქვს, მაგრამ რეზინათ არ გამოდგება; ამგვარ წებოსაგან კუპრსა და სკიპიდარს აკეთებენ. ჩვენის ქვეყნიდამ ძალიან შორს, ამერიკასა და აზიაში ხარობს რეზინის ხე.

რეზინის ხეს მიხაკის ფერი ქერქი აქვს. ამ ხის ღეროს რამდენსამე ადგილას ღრმად ხის სოლებს დაჭრავენ და შიგ სტოვებენ, რომ პირი არ შეიკრას. გაპობილ ხის ღეროდამ ძაშინ გამოდის რძესავით თეთრი, სქელი წვენი ანუ წებო, რომელსაც ასხამენ ქვაბებში და სახლში მიაქვთ. აქ წებოში ავლებენ ბოთლებს და მერე ცეცხლზედ უჭირავთ, რომ წებო გამაგრდეს. შემდეგ შემოაძრობენ გამაგრებულს წებოსა და ფურცლებათ აწყობენ.

ინდოელები, რომლებიც ამ ქვეყნებში სცხოვრობენ, აკეთებენ თიხის ძსნლებს, ვაშლებს, კაცებს, სხვა-და-სხვა ცხოველებსა, პატარა ძაღლებს და ჩურჩხელებივით შიგ ამ წებოში ავლებენ. თიხას, რასაკვირველია, გარედგან ტეავისავით ეკვრის რეზინი და იღებს იმ სახეს, რის სახესაც თიხის ბერეენა ანუ ფშუტურა წარმოადგენდა. ასე ავლებენ რამდენჯერმე რეზინის სითხეში და რეზინის კანიც თანდათან სქელდება. შემდეგ ინდოელი ცეცხლს აჩაღებს და ზედ აშრობს, რომ გამაგრდნენ ბერეენები. ალ'ზედ რეზინი ცოტაოი შავდება. თიხის ბერეენებს ამტვრევენ და მერე შიგნიდან ნაჭერ-ნაჭერ გამოაქვთ. ბოლოს შშვენიერი რეზინის ბიჭი, ან სხვა რამ სათამაშო რჩებათ ხელში.

გასასეიდად-კი რეზინს დიდ ფურცლებათ ამზადებენ ან გუნდებათ აკეთებენ. ოსტატმა, რასაკვირველია, კარგად იცის, რა და როგორ გააკეთოს: ადნობს და აზავებს რეზინს სხვა-და-სხვა ნივთიერებასთანა და უთვალავს სათამაშოებსა და ბუ-

რთებს აკეთებს. ბურთს ჩვეულებრივ ორი ნახევრიდან აკეთებენ და შემდეგ აწებებენ ერთმანერთზედა; ზოგჯერ ლენტავენ და აჭრელებენ კიდეც წამლებითა.

ამბობენ, ერთის ომის დროს შემთხვევით მიაგნეს რეზინის ხესაო. თურმე ჯარის კაცებს ტეე-ტეე მოუხდათ გავლა. მალიან ძნელი გასავლელი თურმე იყო, ხშირს დაბურულს ტყეში ჯარის კაცები ხმლებით იკვლევდნენ გზასა. განსაკუთრებით საქმეს უჭირებდათ თურმე ერთი ხე, რომლის ტოტებიც ერთმანეთში მაგრა იყვნენ გადახლართულნი. სიარული უძნელდებოდათ, ხმლითა სხეპავდნენ ტოტებსა, მაგრამ სადაც ხმალი ღრმად მოხვდებოდა ამ ხესა, სქელი თეთრი წვეთები თურმე სდიოდა და ხმლის პირზედ ჩამოსწვეთდა. მალე ჯარის კაცებმა შეამჩნიეს ისიც, რომ ხმალი ამის შემდეგ ვეღარა სჭრიდა, ხის წებო ცომივით ზედ ეკვროდა. აი, სწორედ ეს მაგარი, ცომივით სქელი წებო იყო რეზინი. ომის შემდეგ ჯარის კაცებს მოაგონდათ თავიანთი ადმონაჩენი უცნაური ხე, უამბეს ყველაფერი მცოდნე ადამიანებსა და ამის შემდეგ დაიწყეს რეზინის ხმარება და სხვა-და-სხვა ნივთების ჭისგან კეთება.

მარიამ დემურიასი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გეოგრაფიული ცნობანი.

(თარგმანი ინგლისურით)

(დასასრული).

გეგმები და რუკები.

— ამას წინად,—სთქვა ბიძია ბობმა,—გაგიკეთეთ გეგმა, რომელშიაც მოთავსებული იყო მთელი ჩვენი სოფელი. მე შემიძლიან აგრეთვე გავაკეთო გეგმა რამდენისამე სოფლისა, რამდენისამე ქალაქისა, მდინარისა, მთისა და სხ.

— მაშინ მეტად დიდი გეგმა გამოვა, განა?—იკითხა ვილლიმ.

— სრულიადაც არა,—მიუგო ბიძია ბობმა,—მე შემიძლიან გავაკეთო იგი, რა მასშტაბითაც მსურს; რასაკვირველია, ეგეთ საგანი ძალიან ჰატარა იქნება. ამ გვარს გეგმაზედ შეიძლება ქალაქი იყოს არა უდიდესი სახლისა, რომელიც არის ჩვენის სოფლის გეგმაზედა და დიდი მდინარე არა უდიდესი ნაკადულისა, რომელიც არის ჩემ მიერ თქვენთვის გაკეთებულს გეგმაზედ. მე რომ შევადგინო გეგმა მთელის მხარისა,—სთქვა ბიძია ბობმა,—ქალაქები იქმნებიან არა უმეტეს ქინძისთავის თავებისა.

— შეგიძლიანთ განა, ბიძიავ, შეადგინოთ მთელი ქვეყნის გეგმა?—ჰკითხა ვილლიმ.

— როგორ არა, შემიძლიან,—მიუგო ბიძია ბობმა.—თუ გინდათ, შემიძლიან შეგადგინო გეგმა ჩვენის საშობლოსი ჩვენის საყვარელ ინგლისისა.

—გულით გთხოვ, ჩემო ბიძიავ. აი ქაღალდი და გამოჭრილი კარანდაში,—უთხრა ტომმა.

— კარგი, მაშ, ჯერ პირველად შეგუდგები გარეთა სანაპირო ხაზის შემოხაზვას ისე, როგორც მინდვრის გეგმის შედგენის დროს გავაკეთეთ—უთხრა ბობმა და დაიწყო ხაზვა. —აი, მზად არის,—დაიძახა ბობმა.—ეს იქნება სხეემა ანუ გარეგანი შემოხაზულობა მთელის ინგლისისა.

— ეს ხომ რუკა იქნება!—წამოიძახა ვილლიმ,—რომელსაც ნანახი ჰქონდა სასწავლებლის კედლებზედ ჩამოკიდული რუკები.

— დიახ, ის არის,—მიუგო ბობმა,—რუკა იგივე გეგმაა, მხოლოდ ძლიერ პატარა მასშტაბით დახატული. ჩვენ მას ვუწოდებთ გეგმას, როდესაც იგი აჩვენებს ან სასწავლებელს, ანუ სახლს, ანუ სოფელს, ანუ ქალაქს და სხ. ხოლო როდესაც იგი აჩვენებს მთელს მხარეს, ანუ მისს ნაწილს, მაშინ მას ვუწოდებთ რუკას.

ეს ინგლისის რუკა, როგორც ეოველი სხვა გეგმა, გვიჩვენებს უტეუარს ფალიბს (ფორმას), უტეუარს სიდიდეს მიწისას, რომელზედაც ჩვენ ვცხოვრობთ.

— მერე, როგორ უნდა იყოს ეგ უტეუარი მაჩვენებელი სიდიდისა, როდესაც ესე მეტის-მეტი პატარაა?—იკითხა ვილლიმ.

—ისე,—მიუგო ბობმა,—რომ იგი არის ნასატი მასშტაბით, როგორც ეოველი სხვა გეგმა.

— ეს რუკა ძლიერ პატარა მასშტაბით უნდა იყოს გაკეთებული,—სთქვა ტომმა.

— დიახ,—მიუგო ბიძია ბობმა,—იმ მასშტაბით, რომლისაც ერთი გოჯი უდრის 200 ვერსს, და რადგანაც ეს გეგმა

ანუ რუკა სიგრძით ორი გოჯია და ერთ ნახევარი გოჯი სიგანე აქვს, თქვენთვის მოძინდვია გამოიანგარიშოთ სიგრძე და სიგანე ინგლისისა.

— ეგ-კი ვიცი!—სთქვა ვილლიმ:—თუ რუკა სიგრძით ორი გოჯია, ინგლისი უნდა იყოს, რასაკვირველია, ორჯელ ორი ასი, ანუ ოთხასი გოჯი სიგრძე.

— დიახ!—სთქვა ტომმა,—და ერთ ნახევარჯერ ორასი რომ ავიღოთ, მაშინ შესდგება სამასი ვერსი; მაშასადამე ეგ იქნება სიგანე ინგლისისა. სიგრძით იქნება მაშ 400 და სიგანით 300 ვერსი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი დიმ. დეკანოზიშვილის-მიერ).

პირველს სმარობენ რაჭველნი
ლაპარაკის დროს ხშირადა,
მეორეს მალ-მალ იტყვიან
ქალები გასაკვირადა;
ერთად ჭურჭელი გამოვა,
ღვინო ჩაისხმის ჭირადა!

ზ მ ა.

(წარმოდგენილი ფ. ნათიშვილისაგან).

ერთს საზოგადოებაში დროს ატარებდნენ. ერთმა კაცმა ძალიან იჩინა თავი ოსუნჯობაში და როცა ჰკითხეს: რა გქვიან შენაო? უპასუხა: ვარდი მიტრიალებსო. ვინც გაიგებს, რა რქმევია ამ კაცსა, ეოჩაღი იქნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცანები.

1) როდის არის წელიწადში მხოლოდ ორი დღე?
2) როდის არის შაბათის აღდგომა?

მართალია?

უხელოომ სახლი გაქურდა,
ფრიად იშოვნა მრავალი,
ტიტველს უბეში უურიდა,
არ ჰქონდა მეტი საკვალი.
მუნჯმა დაიწყო ღრიალი:
არიქა! ქურდი, ქურდიო.
კუტიცა ფეხზედ წამოსტა:
ჩქარა მომეცით ქუდიო.
ბრმა კი ძალზედ ეკვროდა:
მე დავინახე ქურდიო.

ალ. ხალიშვილი

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი.

მარ



ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა

1907 წლისათვის

საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

„ნაკადულზე“

(მესამე წელიწადი გამოცემისა)

1907 წლის 1 იანვრიდან 1908 წლის 1 იანვრამდის. წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემა:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ მოზრდილთათვის.

დასურათებული წიგნები წლიურ ხელის მომწერთა საჩუქრად არა ნაკლებ ასის გვერდისა თითო.

პირველად მიეცემათ გრიმის ზღაპრები.

1907 წლიდან რედაქცია შეეცდება საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ შინაარსის გაფართოვებას. წლიური ფასი ორივე გამოცემისა დამატებით, ე. ი. 39 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი: ნახევარის წლით 2 მ. 50 კ.; ცალკე პატარებისათვის 24 წიგნი—3 მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მანეთი. ხელის მოწერა მიიღება **წლიურად და ნახევარი წლით,** თითო ნომერი ჟურნალისა პატარებისათვის ეღირება 15 კ. მოზრდილთათვის—25 კაპ. ფულების შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ჟურნალში მონაწილეობა აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა და პედაგოგებმა.

ვთხოვთ ხელის მომწერლებს ადრესი გარკვევით დასწერონ, დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ‚ზუბალოვის სახლ., № 8, ყოველ-დღე 9—2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

3) წიგნის მაღაზია „Новая Рѣчь“-ში, გოლოვინის პროსპ.

4) წიგნის მაღაზია „Образованіе“-ში, მიხაილოვის ქუჩაზე.

5) **ჟუთაისი.** წიგნის მაღაზია „კოლხიდაში“.

6) **ბაქო.** ანნა გრიგორის ასულ ჟვანიასთან და ნინო ქაიხოსროს ასულ დეკანოზიშვილთან.

7) **ბათუმი.** მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, კნეინა სოფიო ნაკაშიძესთან და „Черноморскія Новости“-ს რედაქციაში.

8) **ყვირილა.** წიგნის მაღაზია „ივერიაში“.

9) **ოზურგეთი.** წიგნის მაღაზია ,,იმედში‘‘.

10) **თელავი.** საზოგადო ბიბლიოთეკაში ბ. გოშაძესთან.

11) **ელისავეტოპოლი.** ბ. კონსტანტინე ოდიშარიასთან.

12) **ახალციხე.** სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ ბ. ქიქოძესთან.

13) **ფოთი.** თავ. ვლადიმერ აბაშიძესთან.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.**

გამომცემელი: **თავ. პ. ი. თუმანიშვილი.**

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
თბილისი